ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში 2020

პირველი კვარტალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

2020 წლის დასაწყისში კორონავირუსთან (COVID -19) დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა, მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიისა და საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, კონკრეტული ღონისძიებები იყო დაგეგმილი. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული

პროცესებისა, ღვინის ეროვნულ სააგენტოში არ შეფერხებულა საქმიანობა ღვინის და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის, დეგუსტაციების ჩატარების, საექსპორტო დოკუმენტაციის გაცემისა და ასევე ადმინისტრაციული თუ სხვა მიმდინარე საქმიანობის მიმართულებით. ამასთან ერთად, ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე, სააგენტოს კონტრაქტორ ორგანზაციებთან გაგრძელდა მუშაობა ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებების ონლაინ რეჟიმის შესაძლებლობების მიმართულებით, ვინაიდან ღვინის ბაზრის უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით, ღვინის ონლაინ-გაყიდვები გაზრდილია მსოფლიოს მასშტაბით.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

მონაკოელი სომელიეების ვიზიტი

იანვრის მეორე ნახევარში, საქართველოს მონაკოს სომელიეთა ასოციაციის წევრები ეწვივნენ. ჯგუფის შემადგენლობაში მონაკოს საუკეთესო რესტორნების შეფ- სომელიეები შედიოდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მონაკოს ღვინის ბაზარზე. ვიზიტის ფარგლებში სომელიეები ქართულ ღვინოს ქართლსა და კახეთში 10-მდე ღვინის მარანში გაეცნენ. მონაკოელ სტუმრებს თან ახლდა ჟურნალისტების 7-კაციანი ჯგუფი. ღვინის პროფესიონალების ჯგუფს საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ენოლოგი, ქართული ღვინის პრომოუტერი ილია კახოიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე მონაკოს სომელიეთა ასოციაციის საპატიო წევრად აირჩიეს.

„VinExpo Paris 2020“

10-12 თებერვალს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „VinExpo Paris“ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. მსგავს გამოფენებზე ქართული ღვინის წარდგენა უმნიშვნელოვანესია ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიებისა და ბაზრების

დივერსიფიკაციისთვის. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის მასტერკლასი ცნობილმა ბრიტანელმა ღვინის მწერალმა ენდრიუ ჯეფორდმა ღვინის პროფესიონალებითვის ჩაატარა. აღნიშნული მასტერკლასი ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია "ქართული ღვინოს" ორგანიზებით გაიმართა.

„Vinexpo New York 2020“

2-3 მარტს ნიუ-იორკში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Vinexpo New York“ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მსოფლიოს ყველაზე დიდ ღვინის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის წარდგენის შესაძლებლობა საქართველოდან 12 კომპანიას მიეცა, რაც ახალი სავაჭრო პარტნიორების მოზიდვისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „მარქ ენერჯის“ ორგანიზებით, ღვინის პროფესიონალების, ღვინის ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გამართა. გამოფენას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრო, რომელმაც შეხვედრები ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან გამართა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია, სადაც ერთი ბოთლის საშუალო საექსპორტო ფასი 5,1 აშშ დოლარია.

პირველი კვარტლის მდგომარეობით გაუქმდა შემდეგი ღვინის საერთაშორისო გამოფენები, რომლებშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით , ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა: Foodex Japan (10-13 მარტი, იაპონია),Prowein Dusseldorf (15-17 მარტი, გერმანია) და China Food& Drink Fair, Chengdu (მარტი, ჩინეთი), RAW London (10 მარტი, დიდი ბრიტანეთი).

ცვლილებები ტექნიკურ რეგლამენტებში

ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის კონკურენტუნარიანი ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოების მიზნით, არსებულ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებები შევიდა.

კერძოდ, ღვინისა და ასევე ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების წარმოების ტექნიკურ რეგლამენტებში შესული ცვლილებები სხვადასხვა პარამეტრების თანაფარდობის განსაზღვრას ითვალისწინებს, რაც მნიშვნელოვანია შესაძლო ფალსიფიცირების გამოსავლენად.

მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის თანაფარდობაზე შემოწმება. კერძოდ, ალკოჰოლიანი სასმელების წარმომავლობის დასადგენად, უმთავრესია ნახშირბადის იზოტოპების C13 და C12 თანაფარდობის განსაზღვრა. სწორედ ამ კონკრეტული იზოტოპების თანაფარდობის შედეგზე დაყრდნობით, შესაძლებელია განისაზღვროს პროდუქცია არის თუ არა ყურძნისეული წარმოშობის, რაც იძლევა ფალსიფიკაციის გამოვლენის შესაძლებლობას. ალკოჰოლური სასმელების ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის თანაფარდობაზე შემოწმება ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2019 წლიდან დაიწყო და ამ დრომდე, აღნიშნული შემოწმების დროს, ქართული მხარე სარგებლობდა ევროკავშირისა და საექსპორტო ქვეყნის შესაბამისი რეგულაციებით.

ცვლილებები ასევე ითვალისწინებს ალკოჰოლური დუღილის პროცესში ყურძნის შედგენილობაში გლუკოზისა და ფრუქტოზის თანაფარდობის განსაზღვრას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ბუნებრივად ნახევრად ტკბილ ღვინოები (ქინძმარაული, ახაშენი, ხვანჭკარა, ტვიში) ნამდვილად ბუნებრივად ნახევრად ტკბილია, თუ ხელოვნურადაა დამტკბარი.

ამასთან, ყურძენში ბუნებრივად არსებული საქაროზა ნახევრად მშრალ, ნახევრად ტკბილ და ტკბილ ღვინოში 1 გ/ლ-ზე მეტი არ უნდა იყოს. ამ მაჩვენებლისაგან განსხვავებული შედეგის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ღვინოში ხელოვნურად დასატკბობად გამოყენებული იყო შაქრისგან (საქაროზასაგან) მომზადებული სიროფი.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შევიდა შემდეგ ტექნიკური რეგლამენტებში: „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ და „ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმლის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

ვენახების კადასტრი

- ღვინის ეროვნული სააგენტო 2020 წელს აგრძელებს ვენახების კადასტრის პროგრამას, რომელიც წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. სამუშაოები მოიცავს ვენახების ფართობების აღრიცხვას, ორთოფოტოების გადაღებას, ვენახებისა და მევენახეთა რეგისტრაციას და პასპორტიზაციას, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტებას, მევენახეთა და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის სუბიექტების საანკეტო მონაცემების შეგროვებას და ა.შ.
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი იმ კომპანიის შესარჩევად, რომელმაც უნდა შეასრულოს საკადასტრო სამუშაოები კახეთის რეგიონის ყველა იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ამ დრომდე არ იყო სამუშაოები დასრულებული (ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამოსწორების შემდგომ).

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის მეცნიერული კვლევა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ორგანიზება გაუკეთდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნილი არქეოლოგიური ნიმუშების ეროვნულ მუზეუმში დაბრუნებას, რომლებიც აშშ-ში გაგზავნილი იყო იმ კვლევებისთვის, რომლის საფუძველზეც 2017 წელს მეცნიერულად დადასტურდა, რომ 8 ათასი წლის წინ, მსოფლიოში პირველი ღვინო სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწურა.

ღვინის ლაბორატორიული კვლევა და სერტიფიცირება

საანგარიშო პერიოდში საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირება განხორციელდა 83 კომპანიაში, საიადანაც აღებული იყო 300-მდე ნიმუში. სერტიფიკატის მიღებაზე უარი ეთქვა 8 კომპანიას. შემოწმების შედეგად არ გამოვლენილა ადგილწარმოშობის დასახელების ნახევრადტკბილ ღვინოებში დადგენილ სპეციფიკაციებთან შეუსაბამობა. ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 60 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 2102 ნიმუში, მათგან 95 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი დადებითად.

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ - 1949 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე სულ გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის - 1653 ცალი, შესაბამისობის სერტიფიკატი - 1642 ცალი. სულ გაიცა 3295 სერტიფიკატი